

საბჭოთავადად დაგვიხმარებთ, მადლობა!

)

საბჭოთავად-

\_\_\_\_\_

კლუბში

\_\_\_\_\_

საბჭოთავად-ის სახელმწიფო უსაფრთხოებას (სსრკ-ს) დახმარება № 2.

ს. შ. შ. შ.

1924



## ზრიშა აბაშიძე

### ტუსალის სიზმარი

შესიზმრა: რკინის ჩემს თანჯარაზე  
შემოჯდა უცხო თეთრი ფრინველი  
და, რყვეს შებოკვილს, გულწარმტაც ხმაზე  
ღამიწყო ტკბილად გალობა ნელი.

უნუსაზღვრელი სიხარულისა  
ჩანგებით მორთო იგი სიმღერა.  
ეროვა საამო იმედებისა  
გულში დაჰბადა და ააძგერა.

შითხრა: „ზე აღსდებ! ჰა, აღვისრულდა  
შენ დიდი ხნის საწადელიო, —  
აი, მოვიდა. მოვიახლოვდა  
ბორკილთა შენთა დამმსხვრეველი!..“

აწ ისარგებლე თავისუფლებით.  
ტრფოდე ვარსკვლავს, მზეს და მთვარესა.  
ნამათი მაყრული საგმირო ხმებით  
შეილმაც შესძახა ტურფა მხარესა:“

ათქვა და შესწყვიტა ტკბილი გალობა.  
დაფრინდა, ფრთები გაიპარკაშა:—  
ნუგეშის თვალით. როგორც წყალობა.  
მზემ სხიენი მოაზე შეათამაშა:

---

ლამაზმა დილამ მანანა ცისა  
მადლად გვემულთა გარდმოუვლინა,  
და ნიშნად მტრისგან ჩემი დახსნისა  
მზის სხივმან ჩემთან შემოირბინა...

გააღდა სული, გააღდა გული—  
და დავიყვირე ჰე, განგებავ თქო!..  
თუ რომ უმანყო მქონდა წარბული,  
ნურც მომავალი მომაკლდება-თქო!..

გამომეღვიძა— ბნელი და ცივი  
კვლავ საპყრობილე სულსა მიღრღნიდა,  
მხოლოდ სარკმლიდან ცელქი მზის სხივი,  
ვითა სიზმარში, სალამს მიძღვნიდა.

## ზიოზგი ქუჩიშვილი

### დხჰჰა! დხჰჰა!

დაჰკა! დაჰკა გრდემლს ჩაჰუჩი!  
დაჰკა, დააგრიალე!  
მძარცველი და შრომის ურჩი  
მოსპე, გაატიალე!

დაჰკა! დაჰკა!—შრომის ჰანგა  
მძლავრად ააწკრიალე!  
ალ-მოდებული ჰერანგი  
დროშათ ააფრიალე!

დაჰკა! დაჰკა! ნალვერდლებმა  
ცა წითლად გაახურონ!  
თაეისუფლების მკედლებმა  
ჩვენს ქურას მოაწურონ!

დაჰკა! დაჰკა გრდემლს ჩაჰუჩი!  
დაჰკა, დააგრიალე!  
მძარცველი და შრომის ურჩი  
მოსპე, გაატიალე!

## უპანასკნელი სიანსი

კაპიტალის ტყვეებს

თქვენ—უთვალავი:  
რკინის მკერდებით—  
აწვებით მძლავრად  
კატაკომბების:  
ფოლადის კედლებს.  
ატარებთ გულში  
ნალმების საწყობს—  
რომ დაირაზმოს  
სიგნალის დროზე:  
და რაკეტებით  
ესროლოთ სივრცეს—  
ფიჭვების ბომბა:  
რომ ბრბო თავხედი  
ისევ მოედვას  
დასალტულ ქვეყნებს—  
და ოქტომბერის:  
ცეცხლის რეკლამა  
პროექტორივით—  
კომუნარებმა  
ნიაკრან ზეცას.  
მაგრამ..  
გდარაჯობთ ღამე  
კუპრივით ბნელი.  
სდგას როგორც ბოძი  
ლინჩის კანონით

აშართული—  
ტირანის ხელი.  
გიკერთ მუხარუქებს  
რომ ბარიერებს  
ალარ გასცილდეს—  
თქვენი ძახილი.  
მოაქვს ყოველთვის  
ენებიან წუთებს  
უანჯრებთან ჩემად—  
ახალი აღთქმა:  
და უსმენთ შორით  
დაუსრულებელ  
ქალაქის ხმაურს.  
ვიმზერთ პირდაპირ  
ილიოტივით—  
ღღეების ჯოგი:  
და ქრება თითქოს  
იმედების—  
ყოველი ბეწვი.  
თქვენ გიყვებით თვალებს  
აოვლის გუნდივით—  
ცრემლების ზვირთი:  
დაქანებული  
მწარე განცდებით:  
ვით ნიაგარა.  
ბრუნავს წუმპეში:  
დამძიმებული  
რუმბის მუცლებით  
მზის დასავალი—  
კაპსულებივით  
ყლაპავს ერების  
ბრწყინვალე აისს:  
სქედავს ყოველ დღე  
ახლო ბორკილებს.  
ხდგას ქალაქები  
უზარმაზარი—

სივრცით და განით—  
როგორც ხაზარდა.  
ქვეყნის საუნჯეს  
განაგებს ხარბი  
ლონდონის ბირჟა  
და ზარბაზნების  
გვირაბ-დინგებით  
ზეერავს მანძილებს:  
რევოლიუციის  
„მავნე ბაცილებს“  
ახრჩობენ გაზით...  
და არის დოლი  
მოედნებზე შეუწყვეტელი.  
ტრიბუნებიდან  
სიტყვა ეძლევა:  
ტერორის ბანდებს—  
და სალონებში  
მოქეიფე:  
მსუნაგ მაკლერებს—  
რომ ისევ სისხლის  
მძიმე ტალღები  
მძლავრად დაატყან  
განგის ნაპირებს.  
არავის ახსოვს  
ნეგრების ტანჯვა—  
ან ვინ მოუსმენს  
ველურ ინდოელს:  
მათ უნდა ღვარონ  
ცრემლი ბოლომდის—  
სანამ კაპიტალს  
ხელში უჭირავს:  
მზის მოედანი  
ცხელი სახარა  
და კუნძულები  
გვამების ზეინით  
გადაბერტილი.



სდგას დასავლეთი—  
როგორც უმარკო  
კონსერვის ღირშა.  
ქვეშ ეფინება  
ქალბატონების  
მსუქან საჯდომებს  
მატერიკების:—  
ყველა სიმდიდრე.  
თქვენზე ყვირიან  
აჯანყებული—  
ქარხნის მიღები.  
თქვენს ოფლის ღვარებს  
კონდრაბადივით  
უბეში მალაეს:  
დინამოების ურიცხვი ჯარი.  
სტირიან თქვენზე—  
მაზუთის ორთქლით  
გაზანგული  
ყრუ სარდაფები:  
და დგება ჯანყად  
ამხედრებული  
ზღვის სირენების—  
წარღვნის ღმერთი.  
ახალშენებში ისევე აესებენ  
უძირო გემებს—  
რომ ნადავლებით:  
მეკობრეებს—  
დასთხარონ თვალი.  
იქ კი—ბავშვები  
სტირიან მარტო—  
შავ—სოროებში  
გადამალული  
ულუქმაპუროდ:  
და იგონებენ  
იმ ძვირფას დღეებს—  
როცა იმათთვის

მოგქონდათ სახლში  
გამხმარი პური.  
ეხლა კი...  
წვეთი წყალიც არ არის.  
არ არის ხვინწკი—  
და მავთულივით  
ჩამომხმარ ხელით:  
ბელურებივით  
ნაგავთა ყუთში—  
ეძებენ ხორბალს.  
მიდის დღეები...  
ისევ მოდიან—  
ახალი რისხვით  
მეხით და შუბით.  
წინ გახსნილია  
ნაპრალების:  
უძირო ხახა  
და გვირაბებად  
დახვრეტილი  
მიწის ფენებში—  
ისმის ქვითინი:  
განწირული  
და უალერსო.  
სცემს მაინც ნება  
ზაგარ კუნთებში—  
დარკინული:  
ვით ურაგანი—  
როგორც გაეარდნა  
ვულკანის ცეცხლის.  
რკინის მესრებში  
გვლანდებათ:  
პეიზაჟები  
დასავლეთის  
ბარიკადებით გადახაზული.

## პარიზის კომუნარები

პეიზაჟი-ეპილოგით

გალიფე იდგა როგორც გოლერი—  
ჯარებს მოქონდათ მტრული ჩანგლები  
შანმატეზივით ხაზეს პარიზი

ბარიკადები

ბარიკადები

ვარდე—ნახშირის ნეგრებს  
ბრძოლების ბოძებს  
თუჯის ხორთუქებს.

კოურის სხეულით კომუნარები

აჯანყდენ როგორც გრგვინვით ხრამები  
კვარტალები კურტნეზივით ეკიდათ ზურგზე  
დამხობ ქვაბებათ იდგა ღრიალი  
ბარიკადები—ისროდენ ბომბებს  
შრაპნელებმა დახიეს ღრუბლების ბამბა  
ნახშირების კატაკომბებით პარიზი იხშო  
არბევდენ დროს მძლე შოფერივით  
ელექტროს სვეტებს გავდა მინისტრი  
ლენერლებმა ალლო აიღეს  
შუბლს ნაოჭი და ცილინდრები  
კმუხდა ვერსალის ქარჯის სიგანე  
და კაპიტალისტს ფაშვებ ნახრეშეღს  
გაუსკდა ხმებში ზიშით, ზიგანი  
იხსნიდენ ქალას  
ბრძოლების ბოძებს

რკინები ქმენით ემზგავსენ კარაქს  
ვაქვარტლულ კედლებს სისხლი უბოძეს.  
დედეკლიუნი მიშელ მშიერი  
კომუნარები ბორკილებს რკავდენ  
პტრები პიკარი ტიერი შმორი.  
პარიზი ორბის სიბერეს გავდა.  
ღა ვერსალელი ხმას აბრტყელებდა  
ეტყუვა სარკეს სისხლი ნაკვეთი  
ვით ვიტრინებში რეკლამა—„ბორდო“.  
ურდულვებთ ურდო—  
უროებივით ურტყამდენ ბურდაგს  
დროშები რბოდენ წითელ გობელენს  
სპილენძებვით ებრძოდენ გორებს  
სახურავებს როგორც პარიკებს  
ესროდენ შორით ბორბლის პროპელერს.  
ზარბაზნების ზუმბები  
რაზმების შტოფი  
პარიკადები იქცა კარდონათ  
18 ათასი კომუნარები.  
მათი ბრძოლები და კატასტროფა.

პარიზი—ანდრე სალმონ  
ოქტომბრით რომ სწეს „Pricas“  
რეეოლიუციის.  
კრემლიდან მოდის პარიზის ბურლი  
ისტორიის მუდრეგი დროგი  
ბრძანებას ელის  
პროსპექტები ბრძოლის ტრანსპორტებს.  
კვლავ ოქტომბერი—  
ეიფელი და კომუნარები.

## გიორგი ულმოგელი

# ევროპის სინაეგში გამოგზავლულ კომუნარებს

თქვენ გენატრებათ ნაჰერი ცისა  
და გაზაფხულის მწვანე ველები,  
თქვენ გენატრებათ ჟამი რახვისა  
ფრაგანების ამეტყველებით.

თქვენი ბორკილი პატარა არი,  
ვერ დაამჩიოს მან თქვენი კალთა,  
ოოცა ტირანის მაგარ ჯაქვებსა  
ნთელი მსოფლიო შემოუსალტავს.

თქვენ გენატრებათ ნაჰერი ცისა  
• ზურმუხტის სუნთქვა გაზაფხულისა.

შენ იოგინეს გმირო, მწიერო,  
პოი მაკს გელეც, ერიხ მიუზამ,  
ხვალ თქვენი ტანჯვის სამაგიეროს  
მშრომელი ხალხი მტაუვალს მიუზამს.

განწმენდს ევროპას ლიბქნებტის სისხლი,  
წავა ქუჩებში ნიადეარებათ,  
და ლიუქსემბურგის ნაზი ქრილობა  
• ათას მილიონს კვლავ ეყვარება.

შურისძიების დღე ახლოვდება,  
უკვე შეირყა შავი კრებული.

---

ანტანტის ცაზე წყევლით გროვდება  
ონების რისხვა მომატებული.

ტირანი მწარედ დაიკლაკნება  
თავისუფლებით ის გამწარდება,  
როცა ევროპა თავის აკვნებით  
სისხლის ღვართქათში გადავარდება.

სალამი გწირებს და კომუნარებს,  
გაჩაღდეს ბრძოლა გარს დანთებული,  
გაანგრევს ციხის ჩაკეტილ კედლებს  
ოქვენის ტრიბუნა დამეხებული.

## გურჯინის ტუსაღეი

ჩვენ ვიტანჯებით მეხუთე წელი  
უიმედობა დაგვეღფლა კუნთების მღორელი  
ჩვენი თვალეი დაბინდული მკიმე ტრაჟიკი.  
რკინის ფ ნჯრებრს მესერებ-დან  
ცის ლურჯ ნაფლეთებს შე'ჩერებინან.  
ანხანაგებო, გამოგვეხმარეთ!  
ველით მქუხარე აფეთქებას, მოხ-თქილ ზეავებს,  
და მაშინ ჩვენაც ამ ბნელ კომპარს დავალწევთ თავებს.

ამხანაგებო!

ჩვენ აქ დავდივართ დაჟინებით და გამბედებრს,  
ო, სანი წელი როგორ უნდა უქლიდე ერთ წრეს!  
ხლონა დაბნელდა. დახოცილი გზაზე ვეღონით  
ახ, ეს გზა ალბად ქაგებმა რკალივით შეჭკრეს.

ისე ზღმერთოდ დაგვექანცინ ყველა კუნთებრს  
რომ ამ ჯურღმულში გვეძიმება განძივეა ხელი  
შემოქმედება ქრება ჩვენში, ოდესღაც ცხელი,  
და აღარ ძალგვიდს თვით დავლენოთ ჩვენი ხუნდები.

აქ ჩვენს წინაშე ამართულა რუხი კედელი,  
და ამ რუხ კედელს, სულ ამ კედელს უცქერით უღვეს!  
ის, როგორც ლოდი ჩამქოლავი და ჩამწვეველი,  
შეღბრალებლად დააწვა ჩვენს ტვინებს და გულებს.

აქ ჩვენი ნზერა უსიცოცხლოდ დაეხეტება.  
ფერკრთალ დღეების სიმძიმით და სევდით ფარული.  
ქვებში ამოსულ ყვავილებზედ თუ შეჩერდება—  
იგი იქნება მისი შვება და სიხარული.

---

აქ ჩენი მზერა—ეს გართობა ძველ დროს გვაგონებს—  
ვალერსება ცის სივრცეებს გაფენილს ლოჯჯად,  
ვიდრე ჩვენ ციხის ყარაული, მდკომარე მუ ჯ დ,  
სიგნალს უეცარს და საშიშარს არ გაგვაგონებს.

მაშინ ჩვენ ფორთხვით უკნ ვიხევიტ და ჩვემი მზერა  
ისე ანათებს ვით თვალები დაქრილი მხეცის.  
ტანჯვის გვარგვინი კვლავ ჩვენს შებლებს ეკლებით სერავს  
და გული ისევ საშანელი ტკივილიტ გვეწვას.

ასეთ ბმელ წრეში მომწუვდეული ვჭურჩულებტ მარად:  
მოვა დღე იგი და დარეკენ სანიშნო ზარებს!  
მაშ კვლავ გავმაგრდეთ ვიქონიოტ იმედი ფრად,  
რომ მალე განელიტ ჩვერ ამ ციხის დაკეტილ კარებს!

ამგანაგებო! არ მოე'რილვარ ამეყი ქედით!  
ჩვენ გადავიტანო ცოუმორეულ ჯალათთა რზევას!  
მშრომელთა საქმე ჯადოსნურ წოე' გაარღვევს მკერდით  
და გამარჯვების სასახლეში დიდებით შევა.

მთარგმნ.: კ. ჭიჭინაძე.



ედუარდ ვაზნერ

## ჰემპურვის მებრძოლებს

იქ,  
სად ბრძანებლობს თვითნებობა საშინელი  
და,—  
დღე ყოველი,—  
სადაც მწარდება ჯალათის ხელით;  
იქ,  
სად ტრიალებს სკედილის ჩრდალი  
და სდუმს ბაგე დასალტული და ფერმიხდილი—  
თქვენ იქ ასწიეთ დრომა თამამად  
და გარიყ-აქზე დაატრიალეთ გუჟუნი ბრძოლის,  
რომ დაგემსხვრიათ ბორკილი მ.ნის.

ტყვიების სტვენით,  
კაონადებით  
დაბღვთ იქვი,  
ქცევა მხდალური  
და  
გამარჯვება ლეგენდარული  
გერგოთ რაინდებს.

სპეჯაკი სისხლით შე-ლება ბარრიკადები  
მაშნ,  
როცა თქვენ  
ხელში თოფებით,—  
სდააჯობდით ბრწყინვალე დღეებს.  
მაგრამ აღმოჩნდა მცერი ძღვერი

და სიხლის ჩქერი  
ზოდო ქუჩებს ზათქით,  
ხროებით  
და ბრძოლის ველზე განმარტოებით  
დარჩით თქვენ:  
ძლიერ ჰამბურგის რჩეულნი მებრძოლებო!

ო, ჰამბურგ,  
ძვირფასია შენი მაგალითი შეუდარები,  
ლამის წყვილიაღში ანათებდი,--  
როგორც მზე მსიარული,  
მაგრამ  
ჩაინგრა მკერდი ალური  
და სიხლით მორწყე მტრების დანები.  
ჯერ კიდევ გუშინ—  
კრძალვით გისმენდა ეკვატორი  
და მუშუი გულით ყურს გიგდებდა  
ქვიყანა ძთელი.  
დღეს კი—დაეცი უსწორო ბრძოლაში,  
როგორც დაქრილი გლადიატორი!  
ეგ სასიკვდილო თრთოლა და ეგ ვაება  
ჩვენთვის ყვეარჯენია  
და მოწოდება ცეცხლით გამთბარი...  
იცოდე ჰამბურგ:  
ამ მკედარ თავებზე—  
მედგარი ნაბიჯით ჩვენ მოვიპოვებთ გამარჯვებას.

მთარგმნ. ვ. გორგაძე.

ვალერი ბრიუსოვი.

## კალატოზი.

— კალატოზო, კალატოზო შექოსილო წელსაუარით,  
რას ამტყუნებ მანდ ან ვისთვის?

ხელს ნუ გვიშლი, ჩვენ ვაჟენებთ მეტ-სიჩქარით  
საპურობილეს ბოროტისთვის.

კალატოზო, კალატოზო, ერთგულო და ნიჩბიანო,  
მასში ვინლა ატირდება?

— ალბათ არც შენ ბედნიერი, და არც შენი ძმა სვიანი,—  
თქვენ ქურდობა არ გჭირდებათ!

კალატოზო, გრძელ ღამეებს— უძილო და ცრელჭურჭვეველი  
მასში ვინლა გაატარებს?

შეიძლება ჩემი შვალი ისეთივე მუშა წრფელი,  
ბედი ეროხელ ვერ გვახარებს.

კალატოზო, კალატოზო, მოიგონებს იგი ალბად,  
მათ ვინც ზიდა ქვა და მტყერი,

მოგვეცალე! ეი, დადუმდი შენ მანდ, დაბლა,  
თითონ ვიცით ყველაფერი!

მთარგმნ. ვ. გაფრინდაშვილი.

## კოგნიტი

მოთმენის წლები გადალაგეს,  
ველარ დადევს უღელი დათვის.  
პარიზი ებრძის ყველა ქალაქებს  
განწირულია სიკვდილისათვის.

პარიზი ცეცხლში ჯანყის პლიუაღ,  
როგორც მხე ომში ელას პარიზი  
გაკვეთილია ორ პოლიუსათ  
ქვეყნები, თიფონ კი უარესი.

პარიზი მოსჩანს, როგორც მონმარტი  
სოროებიდან პირგამურვილი  
და ცალი ფეხით უკვე მომართეს  
ხვალის ისარი, ამ დღის სურვილი.

ის იძახოდა ომს ომი უნდა,  
დამპალ მტვერს კიდევ სულის შებერვა,  
მშრომელთა ღერბი არის კომუნა,  
მას ვერ გაუქლოს მხარემ ცებერმა.

მზე იცნოდა ისე ლამაზად,  
თითქო ცვიოდა თვლთ ნაპერწკალი,  
ფიჭვი შეჩერდა ისევ დანაზე  
ხიშტების წვერზე მოკვდა ვერსალი.

ტყვივლებიდან მომართეს ღუჭი,  
თითქო მხეცები მოდიან მღევზე.

გადმოეყარა თქები ხეკლეკა  
მხიარულ პარიზს ბარიკადებზე.

ცხე კომუნის ისე მაგრდება,  
როგორც ვეზალის კისერში ძვალი,  
ტიერის სულში ბრაზი მარდდება  
და ზარბაზნების ისპია: „შევძარი“

ყველგან დროშების ფერი მოედვა,  
ხმით იხჩეები. ნ ბატარეები  
ქუჩაზე, სახლზე და მოედანზე  
წითელი დროშა დაიარება.

ბარიკადების რკინის ბეჭდები,  
არის კარგად, არ გაგიოცდეს!  
არც ერთი ჯუშა არ დაეჭვდება  
თუ თავის გულით აცოცხლებს მოძმეს.

პარიზი ბორგავს, იქცევა მართლაც,  
ფოლადის ბეჭებს ყავთ დაჭერილი,  
და გაბრაზებით ამტვრევენ კვარტალს,  
მუშაობს ხელი გადასყრილი.

მოსჩანს უცნობის გამხდარი ხელი  
და ის გასაქანს არავის მისცემს,  
ისევ დაადრეს თეთრი უღელი  
ბარიკადების გაბერილ კისერს.

ქუჩას ასველებს სისხლის ღარები,  
როგორც მხის თალი მოსჩანს ქალაქი.  
ბაირალეები კომუნარებ ს  
გრიალით დაბლა გადმოალაგეს.

პარიზი რკალის და ბარიერის  
ყრიან ორძოში კომუნარები,  
როგორც ფოლადის ბულბული მღერის  
გათენებამდე ტყვია ნარევი.

დაპატიმრებას—ყვ-რის ვერსალი,  
თითონ საღამო ტანსაუარს ეძებს,  
მზე დაცხრილული და უეცარი—  
სისხლში მცურ-ვი მზე.

სისხლიან ორთქლში კედება კომუნა  
და ნაპერწკლების ასინათლე-ით,  
ისეთი რალაც მოქსოვოს ჯნდა  
რომ მომავალმა ზომოს ადლებით.

და აქოთებულ ორმოებიდან,  
სადაც ცხოვრების ხრინჭი ზმა ისმის,  
ყველა მხა-რებს მოურიდ-ბლათ  
ედება სისხლი და კომუნისში.

გაძარჯვებულებს არ ჟხარიათ,  
ღამის სიღურჯეს ეფ:რები-ნ,  
ეხლა ელიან ახალ ვარიანტს—  
რუსეთს ალესილს და დანებიანს.

იყო კორუნა და სამუდამოთ,  
ცოცხალი ხმები გულში უწივის,  
რომ ყველგან ცეცხლი გადაუტანონ  
მუშებმა მუშებს რევოლიუციის.

მთარგნნ. ჟ. ლოლობერიძე.

## გულგრიტის ამხანაგებს

— ჩველათფერი რიგზეა, —

მწერდათ და წყნარად.

იზემებთ.

იცხოვრეთ.

კმაცოფილებით გაიღემეთ

ბრწყინვალე სახათ.

მიწის ორბიტზე

დააოულდა შებლა

საოცარი დ.ბოლოებით:

სფილენძის თათით

ამოჭრილია —

ქარიშხლის მტვერი.

ხალხს გაუმაოჯოს.

მინისტრები და პოლიცია

ციხეებში —ათასობით.

ციხეებში —ნახშირსახებით!

ყალბზე ამდკარი ბულგარეთის,

სახ-ჩობელაზე:

ურაგ. ნია შმაგა და ცხელი.

და წამების ქვეშ პროლეტარები

სხედან ციხეში —

ვ'თ ფრინველები:

დალეწილ ფრთებით.

და გარბის ისევ შეუჩერებლად

აწყვეტილი —

მკაცრი.

პრისხანე:  
ღღეების ჯოგი.  
მაინკ მაგრდება  
ახალ ფრინ ელთა  
ურიცხვი წყება!  
ისევ იფეთქებს აჯაყება,—  
მძლავრი და მტკიცე.

კვლავ აენტება ათასობით  
ხანძარის ტალღა—  
და მოედნები:  
მოიწუება სისხლის ღვარებით.  
ახალ ბრძოლისკენ კოლაროვი  
წაიყვანს სოფლებ !

შურიხძიება ცეცხლის აღმურით!  
ო, მაშინ იმას  
ვერ აღგვის უკვე,—  
ვლარ ჩააქრობს  
მზესავით გამდნარს:  
დროშების ციალს.  
ამხანაგებო —  
განამტკიცეთ რიგები თქვენი  
სანამ ზეიმობს  
კოფმორევით:  
მბეცი მტარვალი.

მთარგუნ. პ. აბრამია



## I. ჭიხეუი დღლუკულს

არა სპილენძის—  
ტყვიისმფრქვევილის  
სასტიკ გრაილში,—  
არა დროშების აღურ ფრიალში  
დაღვარე  
სისხლი.  
არა ბრძოლის ეამს—  
—მუშაობის ბუქში და მტეგრში  
შენ დაალამე სიცოცხლე წწარედ.  
ო, არა!  
შენ ჩამოგახრევეს ციხის კედლებმა.  
გაწამეს ხანგრძლივ პატემრობაში,—  
წენ, იქ დაეცი—მის ჰნელ წყვდიადში.  
ო, საპყრობილევ!  
(დღეს კიღევ ერთი შენს ბილიკებით  
შობლზე ეკლების მძიმე გვირგვინით—  
წაეიდა გმირი).  
შენ მოკიდი ტანჯვით.  
გერგო სიკვდილი  
ულეთო წაეებით...  
მაგრამ ძახილი—  
მოწოდება შენი: ძლიერი—  
შენთან ერთად აღარ ჩამქრალა.  
ის ისევ სიცოცხლობს.  
ის ჩვენთვის ისევ ურყევი არი—  
უფრო მქექარე—  
უფრო მქუხარე  
ვინემ დ ღლილი:  
ხმები ცოცხლების.

## II. სცოცხლობს მაგალითი

მაგალითი სცოცხლობს

ჩვენ არ დავეძებთ ლაქვარდებში—

იმედს და ილზალს.

ჩვენ დავინახეთ

მეომართ წყება—რომელთაც შესწევთ

ბრძოლა მედგარი.

ჩვენ დავინახეთ:

თავგანწირული გმირი ქალებიც;

ტახტების მსხვერუვა—

სისხლში და ბოლში მათი ხელებით—

„თავისუფლუკის“ უარყოფელთა

წამება მათგან.

სცოცხლობს მაგალითი.

ოკეანები: მძიმე განცდების—

ნიაღვარები: ცრემლის და ლელვის.

იქ—

სარდაფებში მომწყვდეული:

მწარ ჭრილობები—

გამარჯვებისას

სქედაედა ვახვილს.

ძველი რუსეთი:

სასიკვდილოდ განწირულია.

დგება მის ნაცულად—

სულ სხვა ქვეყანა.

მაგალითი სცოცხლობს.

და,—  
თუ ჩემს ქე-ენის:  
მოდლილი ნხრებში-  
იშვა იმედი!..  
ო, მრწამს—  
მუშების შუბი და ხმალი  
დაანგრევს გერმანეთს—  
სიცრუეს. ომებს.  
რუსეთის კვალი—  
ბრძოლაში გვიწვევს.  
წინ!  
გამარჯვებისკენ!  
ბრძოლაში. ომში.  
მაგალითი სკოცლოჰს.

მთარგმნ. პ. აბრამია.



ს. გორელი

# ღთებანი კეღლეში

პიესა ერთ მოქმედებათ.

თანამედროვე რუმინეთის ცხოვრებიდან.



# დოქტანის კელეგუი<sup>\*)</sup>

თანამედრ. რუმინეთის ცხოვრებიდან.

შომქმედნი:

1. ბროტმანი—რუმინიელი კომუნისტი.
2. თამარა კრუჩკოვი—რუმინიელი კომუნისტი ქალი.
3. კასლოვიკა—ბესარაბიელი კომუნისტი.
4. ოხრანკის უფროსი.
5. ციხის უფროსი—
6. ჟანდარმები—1, 2, 3.
7. ციხის ზედამხედველები—1, 2.

სცენა—ოხრანკის უფროსის კაბინეტი. ორი ჟანდარმი სცენაზე არიან. ერთი მათგანი ცალკე მაგიდაზე სწერს. მეორე ულაშებს იგრებს და დინჯათ ბოლთას სცემა.

## გამოსვლა პირველი.

1-ლი:—საკვირველი სწორედ ის არის, რომ ისინი კი არ წყდებიან არამედ მრავლდებიან.

2 რე:—მრავლდებიან და როგორ? ჩვენ შორის დარჩეს და სიმართლე კი უნდა ითქვას, კოჭუნისტები ბევრად უფრო ნაკლები აღმოჩნდნენ ვიდრე აქას ჩვენ მოველოდით. აიღეთ თუნდაც გუშინდელი ნაგალითი ცემით და წკალეთ, სიკვდილის პირობე მივიყვანე ტუსალი მოლოტოვი და მაინც ერთი სიტყვაც ვერ ამოვადებინე. გარდა ამისა მას ზუცულში ტყვია აქვს მოხვედრილი.. მთელი დამე სულთმობრძაქო წევხ აყროლებულ მკედრებს შორის და აბა თუ ერთი

<sup>\*)</sup> რუმინეთის ერთ-ერთი უდადესი და უსაშინესი საპურობილე, სადაც ბურჟუაზის კლანკებში იტანჯებიან კომუნარები.

სიტყვა დასძრას. ეხლაც, რომ მაგონდება ის საზარელი  
სუნი ტანში ჟრუანტელი დამივლის... (აფურთხებს).

1-ლი:— დეე, ჩაძაღღდეს მაგისი ბოლო ეგ არის. დღეს ახლები უნდა  
ეწამოთ... ძნელი სამსახური გვაქვს გეორგ, ძნელი. ჯამა-  
გირი კი მცირედი, აღარც წარჩინებას იძლევიან.

2-რე: მაგასაც მოკვსწრობით, ოღონდ ეს წყეული კომუნისტები გავ-  
ბაწროთ.

1-ლი— რასა სწერ გეორგი, ვისმეს ხომ არ აბამ მ ხეში?

2-რე— შენ მართლაც მიმიხვდი. ვაბამ და როგორ?! მე დარწმუნე-  
ბული ვარ ამის გულსათვის კარგ მადლობას მივიღებ!

1-ლი— მაინც ვინ არის?

2-რე— გამოჩენილი რევოლიუციონერი ბუჟორი.

1-ლი— (იგონებს) ბუჟორი, ა! რუსეთიდან რომ შემოიპარა. მერე  
ნამდილად მოსძებნე მისი კვალი?

2-რე— საქმეც ის არის, რომ მაკისთანა გააბა, თორემ უბრალოებს  
ქუჩაშიაც რომ გავიდე ერთ გაველაზე ათს მოვიყვან.  
ბუჟორი! ეს ის ბუჟორია, რომელსაც ორი წელიწადია  
ჩვენი ოხრანკა დაეძებს.

1-ლი— დიდი საჩუქაოი გერგება გეორგ. იქნება თვით ზეფისაგან  
პირადი ნადლობაც მიიღო.

2-რე— ვნახოთ! შემოვა თუ არა ოხრანკის უფროსი, უნდა მოვახსენ-  
ხო თორემ ვაი თუ ჩემმა შპიკებმა ხელიდან გაუშვან.

1-ლი:— როგორ, შენ შპიკებიც მიაყენე?

2-რე:— არხენინად ბრძანდებოდე, მე მთელი რაზმი მყავს შპიკებისა-  
გან შემდგარი. ვინ გინდა რომ იქ არ იყოს. მასწავლებ-  
ბელი, ბუზგალტერი, ფოსტალიონი, კუჩერი, მედუქნე და  
რა ვიცი კიდევ ვინ. შენ ფული აჩვენე თორემ შპიკებს  
რამდენსაც გინდა შევაგროვებ.

1-ლი— მერე შენ სადა გაქვს ამოღენა ფული?

2-რე— მე კი არა. ოხრანკას აქვს. საპიროების დროს გინდა მილიონს  
დავხ რჯავ.

1-ლი— დიდი ნიჭს და მოხერხების კაცი ხარ გეორგ. მე კი ბედი  
არ მწყალობს.

2-რე:— არა უშავს რა. შენც, რომ ჩემსავით ოცდა ხუთ წელიწადს  
დჰყოვ ოხრანკაში, უველაფოუს შეისწავლი. რა არ მი-  
ნახვს აქ. რამდენი ასი რევოლიუციონერი. დამიპატიმრო-



ბია, რამდენი ათეული საკუთარი ხელით ღუნაის პირას და ტყეში დამიხვერტია... მაშ რა გგონია?! (ამაყად) ეს მენ-დლები რათა მაქვს? ო, შენ მე კარგად ვერ მიცნობ. თვით მეფეს რამდენჯერაჲ ჩამოურთმევია ჩემთვის ხელი (ათა-ვებს წერას).

1-ლი—ბევრი მოთმინებაა სიკარო ჩვენს სამსახურში.

2-რე—ჩემი რჩევა იქნება თქვენთვის, ოუ გსურთ კარიერა გაიკეთოთ. პირველი, ნურავის ენდობიო, მეორე—ნაკლებად ილა-პაკეთ და მესამე—იყავით მეფის ერთგულა და მტერი მისი მტრებისა. თუ ეს ყელაფერი კარგად გეხსომებათ და ამასთანავე შეუბ ალბელიც იქნებით რეგოლიუციო-ნარების მიხარტ გარშემუებ მალე დაგაფასებენ.

1-ლი—გმადლობთ დარიგებისათვის! (დარეკავს ტელეფონი). ალლო! საიხან?... ვინ კითხულობს?... არა... ველოდებით. (ტელე-ფონის მიღს სდებს). ციხის უფროსი კითხულობდა ჩვენს უფროსს.

2-რე—ალბად კიდევ რაიმე უწყსოებას ჩაიდედენდენ პატიმარი კომუ-ნისტები.

### გამოსვლა მეორე

(შემოდის სამხედრო ტანისამოსში გამოწყობილი ოხრანკის უფროსი. ეხანდარებები გაიქიმებიან)

უფროსი—ხომ არავის უკოთხივარ?

2-რე—წინ უსწროცს პირველს) დიახ თქვენო აღმატებულებავ, ციხის უფროსი გკითხულობდათ.

უფროსი—რა მინდაო? ალბად კიდევ აიშალენენ? (ტელეფონს რეკავს) ალლო!.. 2—68!.. ციხის უროსს გამოიძახეთ (პუნა). თქვენ ხართ?... რანია საქმე? როგოო?... რა ზომები მიი-ღეთ. . . ეკ არ კვაოა... მეთურები ჯერ აწვალეთ და მერე ცალკე კაცოევიში მოათავსეთ... სადამოთი სახლში დამ რეკეთ, (დასდებს ტელეფონის მიღს). მოიყენეს კო-მუნისტები?

1-ლი—დიახ აქ რან!

უფროსი—შ მოიყვანეთ სათითაოდ წინასწარ გაჩხრიკეთ!

1-ლი—მესმის! (დაა).

(უფროსი გაივლ-გამოივლის პაპიროზს უკიდებს).

უფროსი—ვნახოთ საძაგლები რას მეტყვიან ახალს.

2-რე—(გაიკვირება) ნება მიბოძეთ მოგახსენოთ!

უფროსი—რამია საქმე? ეკ რა ქალღლი გიკვირავს? (ქანდარმი მიაწოდებს და განხედვება) როგორ?... ბუჟორი აქ, ქალაქშია? დანამდვილებით იცით?

2-რე—დიად თქვენო აღმატებულება!

უფროსი—ეს კი მომეწონა! ყოჩაღ გეორგ, ყოჩაღ! თუ მართლაც დავიკვირეთ სამსახურში წინ წარგადგენ.

2-რე—თქვენი წყალობა ნუ მომაკოოს ღმერთმა.

უფროსი—ხომ არ გააკეტევთ თვალიდან.

2-რე—მაგანე ნუ სწუხართ თქვენო აღმატებულება! ის დაპატიმრებული იქნება.

უფროსი—მარტოა თუ კიდევ ვინმეა მასთან?

2-რე—დიახ, მასთან ვილაც ქალი და ერთი ახალგაზრდა კომკავშირელია.

უფროსი—მამ გასწით და ყველანი დააპატიმრეთ. გადაეცი თ ჩემს თანაშემწეს თან გამოგყვეთ. დაპატიმრებულნი ოხრანკაში მოიყვანეთ.

2-რე—მესის თქვენი აღმატებულება! (გაეა).

უფროსი—ბუჟორი! ეს კი კარგი ამბავია. (ხელეებს იფშენებს).

### გამოსვლა მისამი.

(შემოდის 1-ლი ქანდარმი)

1-ლი ქანდარმი—ტუსალი აქ გახლავთ თქვენო აღმატებულება!

უფროსი—შემ იყვანეთ! (დაიკავებს თავის ადგილს. ქანდარმი გაბრუნდება).

### გამოსვლა მითხე.

შემოდის ქანდარმი თოფით, შემდეგ ტუსალი ბროტმანი—მის უკან ქანდარმი. ტუსალი ხელეებ შეკრულია.

უფროსი—თქვენი გვარა?

ბროტმანი—კარგა ხანია მიცნობთ ვინცა ვარ.

უფროსი—მე თქვენ გეთითხებით გე რს!

ბროტმანი—ინებეთ... ბროტმანი, კოძუნისტი. კიდევ რას მკითხავთ?

**უფროსი**—თქვენ გუშინ დაკითხვის დროს უარი გაგიცხადებოდათ ცნობების მიცემაზე.

**ბროტმანი**—სრული კემპარტებაა. მე ეხლაც იმას ვიტყვი რაც გუშინ ვსთქვი და მეტს კი არაფერს.

**უფროსი**—მე კი გირჩევთ სთქვათ, რადგანაც ამით სასჯელს შეიმსუბუქებთ.

**ბროტმანი**—ჩვენ, კომუნისტებს რომ სასჯელის გვეშინოდეს არც კი ვიქნებოდით კომუნისტები.საკმარისად განვიცადეთ ბატონო თქვენი ხელქვეითებისაგან ტანჯვა-წვალეობა. ასე, რომ გულუბრყვილობა იქნება ეხლა ვსთქვა ის რაც ძალით ვერ მათქმევინეთ.

**უფროსი**—მე კიდევ გაფრთხილებთ —სთქვათ. თუ ვინ არიან თქვენი თანამოაზრენი.

**ბროტმანი**—არ ვიცი.

**უფროსი**—სადა გაქვთ ლიტერატურა?.. ფული?.. ვინ ააფეთქა სენატი?

**ბროტმანი**—ჩემთვის უურო აღვილია. ციდან ვარსკვლავების ჩამოტანა და მათი დათვლა ვიდრე ვსთქვა ის, რაც თქვენა გსურთ.

**უფროსი**—(ბრაზმორეული) თავს ნუ იკატუნებთ! თქვენ იცით ყველა ფერი...მე გათქმევინებთ. მე ვუბრძანებ საშინლად გაწამონ. ცხელი რკინებით დავადაღვინებ თქვენს სხეულს.

**ბროტმანი**—მე დიდი ხანია ვიცი, რითაც გათავდება ჩემი წვალეობა. უნდა მოვკვდე სხვა ხომ არაფერი. მხოლოდ გახსოვდეთ, გადაგიხდით. მე დავეცემი, მაგრამ ჩემს მაგიერ სხვა ათასი ადგება.

**უფროსი**: გაიყვანეთ ეს ძალლი საწამებელ ოთახში .. არ მოკლათ. ისე კი ყველაფერი ათქმევინეთ, სცემეთ... დადალეთ! (დორბლ მორევით) ყველას ამოგწყვიტავთ!

**ბროტმანი**—თქვენს ხელში მე დიდი ხანია მკვდარი ვარ, შიშობდეთ თქვენი კომუნისტები გაიმარჯვებენ! (გაჰყავთ).

**უფროსი**—(მარტოდ)—დასწყევლოს ღმერთმა ეს რა ხალხია. როგორ არ ვაწამებთ და აბა თუ ერთმა გაალოს პირო. ცივი ოფლი მომდის და ჟრუანტელი მივლის, როცა მაგონდება მათი წამება. ესენი კი კვდებიან და კრინტა არ სძრავენ.

..(დადის ოთახში)

## გამოსვლა მხუთე

(შეპოდის 1-ლი ჟანდარმი)

1-ლი ჟანდ.—მეორე ტუსალი მოვყვანეთ თქვენო აღმატებულებავ!  
უფროსი—ისიც ამისთანა ძალი იქნება თუ არა უარესი. შემოიყვანეთ!

(ჟანდარმი გავა და შემოჰყავს ტუსალი ქალი).

უფროსი—მობრძნდით ქალბატონო. დღესაც არ გამოტყდებით!  
ვინ ჩამოგყვით რუსეთიდან?

თამარა კრიუჩკოვი—მე მატროდ ვიყავი, მე სხვებს არ ვიცნობ.

უფროსი—(მიუახლოვდება, მუშტს ცხვირზე მიუტანს) ცხვირპირს გაგისისხლიანებ. სთქვით ვინ ჩამოგყვით. თქვენთან ორი მამაკაცი იყო...

თამარა კრ.—ენაც რომ ამომგლიჯოთ მეტს ვერაფხრს მათქმევეინებთ...

უფროსი—არ იტყვით?! არ გინდათ სთქვათ?!

თამარა კრ. სანამ პირში სული მიდგია სულ დავიძახებ „გაუმარჯოს კომუნისზმს, გაუმარჯოს საბჭოთა რუმინეთს.

უფროსი—ჩუმათ! (ჟანდარმს) გაიყვანეთ და სცემეთ, სანამ არ იტყვის! (ჟანდარმს გაჰყავს ქალი).

თამარა კრ.—ჯალათებო!.. ახლოა თქვენი განკითხვის დღეც! (გავლენ).

უფროსი—(ბრაზმორეული) არა, აქ სულ სხვა ხერხი უნდა ვიხმარო... (ფიქრობს) დავკითხავ კომუნისტ კისლოვ კისაც და თუ ისიც არ გამოტყდა ვაი მაკათი ბრალი. ძალუბივით დავახრჩობ.

## გამოსვლა მხეჩხვა.

(შემოდის 1-ლი ჟანდ.)

1-ლი ჟანდ.—მესამე გახლავთ. თქვენო აღმატებულებავ.

უფროსი—შემოიყვანეთ! (ჟანდარმი გავა) დაუწყებს ტკბილად იქნებ რამე ვათქმევეინო.

## გამოსვლა მხუვილი.

შემოჰყავს ჟანდარმს პატიმარი კისლოვსკი მოსდევს ც. ზედამხედველი.

უფროსი—გამარჯობათ! როგორ გიკითხოთ. (ჟანდარმს) მართვით სკამი!

**კიხლოვსკი**—ნუ სწუხდებით სთქვით რაზე მომიყვანეთ აქ. ვიცი აქედან საწამებელ ოთახში მიკრავთ თავს.

**უფროსი**—ეგ თქვენზეა დამოკიდებული. თუ გამოტყდებით სასჯელი შეგიმსუბუქდებათ. სთქვით თქვენ რომ ეზოდან გამოვარდით იმ სახლში ვინ იყო დარჩენილი. პოლიციელები თქვენ გამოგეკადენ ამით თქვენმა ამხანაგებმა ისარგებლეს და შიშიაღწენ. ხომ ასე იყო?

**კიხლოვსკი**—არ ვიცი.

**უფროსი**—(ბრაზმორეული) შე წყევლო! მაშ რა იცი. (მივა ანლოს) უკანასკნელად გიბრძანებ სთქვა, თორემ დაგხვერტავთ ამაღამ იე.

**კიხლოვსკი**—მე მეტს ვერაჟერს ვიტყვი. მაწამეთ დამხვობიტეთ, ოლონდ იცოდეთ მაინც ჩვენ გავიმარჯვებთ. გაუმარჯოს კომუნისზს, ძირს მეფე რუმინეთისა.

**უფროსი**—(მივარდება:) რაო ძირს მეფეო?! შე ძალო, შენა! (წაიგდებს ფეხ ქვეშ სცემს. ეანდარმს) დაჭკარი. (დაქანცული ჯდება. ეანდარმები სცემენ).

**კილოხოვსკი**—მსცემეთ!! დამსტანჯეთ!! მაწამეთ... მაგრამ გახსოვდეთ, რომ ჩვენს დამარცხებაში არ არის თქვენი ხსნა.. ხვალ.. ზეგ.. მოვა სხვა ხალხი, რომელიც შურს იძიებს სასტიკს და საშინელს ჩვენს მაგიერ. ძირს... მეფე რუმინეთისა... გაუმარჯოს საბჭოთა რუმინეთს... (წამოწევს) ჯალათებო... სისხლის მსმელნო!.. მე ვკვდები... გაუმარჯოს... კომუნისტურ... რევოლიუცი-ას... (უსულოთ დაეშვება. ჯარის კაცს ხელიდან თავი გაუვარდება. ეანდარმი და უფროსი ერთი მეორეს შესცქერიან კულისებიდან ისმის ბრაზმანისა და თამარა კრიუჩოვის წამების ხმა).

უ ა რ დ ა.



# მედიკალინა

ინსტიტუტი

მთავარი. გარდა.





# შვიდი ათასი\*).

## ინცენიროვკა.

სცენა წარმოადგენს ციხის ეზოს. დეკორაცია—ნაცრისფერ კარ-  
დონისაგან; როზელიც შავი კოთხით გაყოფილია კედრატებათ. გა-  
ნათება—მუროჟიანი. სცენაზე, მოქმედების დროს, განუწყვეტლივ, ეზო-  
დან. ნელ-ნელა გაყავთ ჯგუფი პატიმრებისა. თუ მოხერხდება, კარ-  
გია მოეწყოს მაჯვნით და მარცხნივ, ღია კამერები მასურებელთა  
შესახედბვად. მოქმედების დაწყებისას—კამერები აღარ სჩანს, მო-  
ცულია ბნელით. დ რბაზშიაც სიბნელეა, მხოლოდ სცენის წრე (ცი-  
ხის ეზოს შუა ნაწილი) არის მკრთალად განათებული.

1 ხმა დარბაზიდან—უყურეთ! უყურეთ! შეხედეთ იმას!

2 ხმა დარბაზიდან—ო, ეს შავი კედლები, უფრო საშინელია ვინემ ღრუ-  
ბლედის მრისხანე ტალღები! იქ სხედან შვიდი ათასი რჩე-  
ული მეომრები. შრომის შვრლები.

3 ხმა დარბაზიდან—შვიდი ათასი მებრძოლი—რჩეული გმირები!  
(ბნელდება. მოისმის პატრმართა ყრუ ქვითინი).

1 ტუსალი—(რომელიც გაყავთ ეზოდან) ჩვენ დაგვქედეს! ჩვენ ვართ  
ბორკილებში. ვინ ჩობით.

ქალი პატიმარი—(სცენის მეორე ბოლოდან) ვისია ეს ხმა, რომელიც  
პასუხს ითსი.ეს ღამის წყვდიად დან? ვინ არის ის?!

2 ტუსალი—(წრეში) ჩეხი იაკები! უპატრონო, მშვერი ბავშები!

ქალი პატიმარი—საყვარელო ძმე!ო! გაიყო ბორკილებში თრევა. ჩვენ-  
სკენ, მორბიან ცოცხალი სიტყვები!

3 ტუსალი—ეს ჩვენი ოჯახებია ქუჩებში უწოწყალოდ დაყრილი. ისი-  
ნი გმინავენ ულჯკმაპუროდ, გაშლილ ცის ქვეშ. (გადაძა-  
ხილების დროს-სინათლე გაიელვებს. გაანათებს პატიმ-  
რებს, ისევ ჩაჰკრება).

\*) გერმანიის მუშათა კლუბების რეპერტუარიდან.

ქალი—ვინ გვეძ ხის ჩვენ ციხის კედლებში?

ხალხი—(დარბაზის ბოლოდან) ეს ჩვენ ვართ! ჩვენ გეძახით! ჩვენ გიხმობთ!

1 ხმა—გესურს გელაპარაკოთ!

2 ხმა დარბაზიდან—რომ დაგეხმაროთ! რომ გაგამხნოთ!

3 ხმა დარბაზიდან—რომ გადაიტანოთ ტყვეობის მძიმე უღელი!

ხალხი—ეს ჩვენა ვართ! ჩვენ! (დარბაზი განათდება. დარბაზის ბოლოში: ხმაურობა. გ.ნგაში. ყვირილი. ჯ.ჭვებ.ს ჩხარა-ჩხური, ოფიცერს და ორ ჯაოისკაცს—დაობაზით სცენაზე გაყავთ ორი მუშა კომუნისტი).

ოფიცერი—ნუ იხედებით განზე! ნუ ჩერდებით! წინ! ჩქარა თქვე წითელო არამზადებო!..

(საზოგადოებაში მღელვარებაა).

2 ხმა დარბაზიდან—მ.თი სიმხეცე მატულობს დღითი დღე.

2 ხმა დარბაზიდან—ისინი ამ კედლებში ახშობენ, ახალ სიცოცხლის წყურვილს.

3 ხმა დარბაზიდან—ისინი, პროლეტარიატის ჯალათები არიან!.. (სცენისაკენ წამოიწევეს) თქვენი თვალები, ანთებულნი, ვით უთვალავი სანალები, უცდიან მოწყალებას. უცდიან ნეტარების ქაშს. მოწყალება აღარ აქვთ ჯალათებს. მოიხსენით თვალებიდან რიდეები! იჩქარეთ.

ხალხი—ნუ აყოვნებთ!

(დარბაზში სინათლე ქრება. სცენაზე ოდნავი განათება. სცენის გვერდებიდან მოსჩანს კამერები.

ოფიცერი—(პატიმრებით გაივლის ციხის ეზოში. სცენის უკან) ჩემად! ჩემად, თორემ შუბლში ტყუიას მიგარტყამ.

1 ტუხალი—(კამერიდან) ჩემო სიცოცხლეო! გაიგლე ჩემს თვალწინ! ფერად ოცნებავ. შენ ჩაგქედეს ციხის ნესტიან კედლებში. შენ გდარაჯობენ რკინის ბჭეები!

2 ტუხალი—(მეორე კამერიდან) დეე, მაწამონ! დამსტანჯონ! მიხარია მაინც, რადგანაც ეს ტანჯვა ვერასოდეს ვერ დაგვაშორებს თავკანწირულ ბრძოლებს, ბარრიკადების ხანძარის ტალღებს.

3 ტუხალი—რა უყოთ? დეე, გვემუქრებოდენ დახვერეთი! უკვე დასჯილებს, მეორეთ ხომ დაგესჯიან!?. ჩვენ ვიცით, რომ

თეთრებზე რისხვით მოდიან რევოლუციონურ ჯარების  
სასტიკა ტალღები!

**ქალი პატიმარი**—შეიძლება ძალადობის მრავლად გადატანა, მხოლოდ  
ვიცოდეთ, რომ კ'დე ვ. ხსოვვართ... რომ ჩვენი საქმე  
ისევა სცოცხლობს!

**პატიმრები**—(ერთხმად) მხოლოდ ვიცოდეთ, რომ ჩვენ ვახსოვვართ!..  
რომ ჩვენი საქმე ისევა სცოცხლობს.

**ქალი პატიმარი**—ჩვენ გავცეცა!.. ჩვენ გავეყიდეს... ტყვეობის, საში-  
ნელი ორი წელი უკვე გადის... ჩვენს წინ არ კრება მომავალ-  
ლი... არ კრება ახ.ლ ცხოვრების შექმნის ხალისი, რომ-  
ლისთვისაც ჩვენ ვეწამეთ ასე სასტიკად..

**პატიმრები**—(ერთხმად) რომლისთვისაც ვეწამეთ და ვიტანჯებით...  
არ მოჰკვდარა ის კიდეც სცოცხლობს..

**ქალი პატიმარი**—ნუ თუწილთა საზღვრების იქით, როდესაც გამოვალთ  
ციხიდან, კიდეც და რსეთივე საკვირველი იქნება, რომელ-  
შიაც დავიბადეთ ჩვენ? ნუ თუ კიდეც ვიმიმშობებით? დღე  
და ღამე ვიშროვებთ და, შაინც ვეწამებით?.. არა!..  
შორს!.. ეს მოჩვენებაა წყევული წლების. ისინი გაჰქ-  
ვიან!.. გადაშენდებიან... ისინი აღარ იქნებიან... არ არიან  
ისინი ჩვენ ვითმენდით... თქვენც..

**1 ხმა დარბაზ**—არ შეგვძლია მეტის მოთმენა!..

**ქალი პატიმარი**—ან გაემარჯვოთ, ინ დავიხოცოთ!

**პატიმრები**—(ერთხმად) გამარჯვება, ან სიკვდილი! გამარჯვება, ან  
სიკვდილი!

**ქალი პატიმარი**—მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ჩვენ თავს  
გავსწიწავთ. დავიხოცებით... ჩვენ—მრავალნი ვართ.  
თქვენ—ურცხვი. ჩვენ—ათასი ვართ ზორკლებში. ვზი-  
ვართ საკნში. არ ვცოთ შიში. გულები ჩვენი დროშაა  
სისხლის.. დროშები აღმდებელი.

**ხალხი დარბ**—ჩვენ მრავალი ვართ. მილიონი. უთვალღვი. ჩვენ  
მტეს წავლევით ნიაღვარივით.

**პატიმრები**—(ერთხმად) ჩვენ ვიცდით! თქვენ გიცდით! თქვენ გის-  
მენთ!

**ქალი პატიმარი**—ღმერთ ძველი ქაყანა.. განთავისუფლდით მედგა-  
რის ბოძოლით. ჩვენც დავიხსენით..

---

**პატიმრები**—(ერთხმად) ჩვენც დაგვიხსენით ციხის კედლებიდან...  
გვაჩვენეთ ლურჯი ცა... მზე... ქვეყანა თავისუფალი...

**ქალი პატიმ.**—ჩვენ გვესმის. გიციოთ. ვსცდით ახალ წლებს მოახლოებას. დავიხსენით მძაჱე ბოროტებისაგან... დაგვიხსენით ტყვეობის საშანლებისაგან... იჩქარეთ... იჩქარეთ..

**1 ხმა დარბ.**— ჩვენ მოვდივართ!..

**ხალხი დარბ.**—ჩვენ მოვდივართ...

**2 ხმა დარბ.**—ყოველი ჩვენთაგანი მზათაა. ჩვენ მზათ ვართ, რომ ტყვეის სიტყვას მიუშვიროთ გულმკეუდი. ჩვენი ძახილი ნიშნია ბრძოლის მოახლოების. თქვენი გმინვა კი—გაწვევა მტერთან სამზად...

**პატიმრები**—(ყრულ. ერთხმად) ჩვენ ვიციდით.. ჩვენ გიციდით... ჩვენ გრსმენთ. მოგელით... დაგვიხსენით...

**ხალხი დარბ** მოვცივართ ერთად... მოვივირთ მტკიცეუ. მოვალთ თავისუფლების წითელი დროშით... გიშველით.. დაგვიხსენით... დავანკრეთ ბჭკებს... დავანკრეთ ციხეს... და ამსხვრევთ ჯაჭვებს... გავარღვევთ კედლებს... მრისხანე კედლებს...

3. ირეთელი

პირველი ზარი

დარბაზი 2 მოქმედებათ.



# პირველი წარი

დრამა 2 მოქმედებად

მოქმედენი:

ილია ბროკი შვილი—ინტელიგენტი. მუშათა მოძრაობის ხელმძღვანელი 35 წ.

ტასო—ამისი ცოლი 30 წლ.

ისიდორე { მუშები.  
ეფლანი {

მამედა—ტუსალი.

უანდარები, პოლიციელები, ჯარისკაცები, ციხის უფროსი და ზედ-  
ხედველები და სხვა.

## მოქმედება პირველი

სცენა.—უბრალოთ და ლამაზათ მორთული ოთახი. ყველაფერია  
ოთახში, მაგრამ უბრალო და თავის ალაგას. ფარდის ახდისას სცე-  
ზე ბნელა. არავინ სჩანს. კაბეზა იღვია და ვილაც შემოდის.

### გამოსვლა პირველი

ილია მარტოთ

ილია—(შეამოაღებს კარებს და სკამს დაეჯახება) ოჰ! ეს რა ობ-  
რობაა! ტასო! ტასო! (წამოვა წინ და მაგიდას დაეჯა-  
ხება) დასწყულს ეშმაკმა! ეს ოხერი, რა ამაჲვია, აღარც  
სანააღე, აღარც სხვა. ოხრობაა მა რა ჯანდაბა. (ჯაბე-  
ში წუმწუამას ეძება. ამოღებს და გაჰკრავს. (განათლება.  
ეძახის ტასოს) ტასო! ტასო! გამოდი იდამიანო! რა ამ-  
ბავია ეს, რა ოხრობა დაგეძართა! ლამის კისერი მოვიმ-  
ტვრიო (მივა ელექტრონის გამომრიცხველთან გადააბრუ-

ნებს, მაგრამ არ განათლება). აჰა! ელექტრონიც ჩაგეკრეს. ალბათ გადასჭრეს. ფული ვერ შევტანე. (ეძახის ტასოს) ტასო! ტასო! (მოიღმის ტასოს ხმა: „მოუდილარ, ადანიანო, დამაცადე“). სანამ შენ მოხვიდოდე მე კისერს მოვიტებ! (დაჯდება სკანზე და ელოდება ტასოს).

## გამოსვლა მეორე

### ილია და ტასო

**ტასო**—(შემოდის და შემოაქვს ანთებული ლაშვა. განათდება) ბავშვი ხომ არა ხარ, რომ ერთი წუთი ვერ მოიპინე. დაჯდობდი და დამცდიდი (დასდამს ლამუას მაგიდაზე. იღივება) რას გაბუტულხარ და ხაას არ იღებ? ხომ არაფერი იტკინე?

**ილია**—(გაჯაერებით) დისწყველოს ეშპაკმა ასეთი ცხოვრება. 'სხვა გაჭირებდასთან სინათლეც ალარ ქონდე' კაცს? სად იყავ შენ?

**ტასო**—(ღიმილით) სანზარეულოში. ლამუა გავასწორე და მოვიტანე.

**ილია**—(ბუზღუნით) რა თხრობა მოუვიდა ამ ელექტრონს? ხომ არ გადასჭრეს?

**ტასო**—(იციინის) შენ, ჩემო კარგო, როგორც გეტყობ ძალიან გულმავიწყობა დაგჩემდა ამ ბოლო დროს. ალარ გახსოვს, რომ გაფიკულეები არიან მუშები: შენ აჯრიე ყველაფერი და სინათლეც გინდა გქონდეს?

**ილია**—(სიცილით) ბიჭოს! მართლა რო ორ დამავიწყდა. ოჰ! ერთი ნეტა მაგათ მაგარი და მწყობრი შეტევა ვაჩვენოთ და ელექტრონი რას მიქცია.

**ტასო**—(გვერდით მიუჯდება) როგორ მიდის, ილო, საქმე. ირაზმები რა არა?

**ილია**—(მხიარულად) ვერაზმებით და მერე როგორ, არ გავა რამდენიმე დღე, რომ ერთ დიდ საყოველთაო გაფიცვას მივარტყამთ და მერე ვნახოთ! შეიძლება ოთხივე ფეხებზე წამოვარჩოკოთ დიდი დათვი.

**ტასო**—(ნაღვლიანად) ყველაფერი კარგა, ჩემო ილო, მაგრამ ეს ტერორისტული აქტები რომ გახშირდა ვერ არის კარგი. ასეთ ტაქტიკას შეუძლია გამოიწვიოს დიდი რეკონსიები.



მე შინი ძალიან მეშინია! რომ დაგიქირონ დაველუპებით.  
ვაგვენა აგუტებენ.

ალია—(სიცოცხლის) ჰო! შენ ჩემო ტასიკო! შენ ჯერ ბავშვი ხარ. ილიუზიებით ხარ შეპყრობილი, შენა გკონია ტკბილი სიტყვებით და თხოვნებით გაეაროგებთ რამეს. ტყუილია. განა მაგათთან ლაპარაკი შეიძლება?! დაკვრა: დაკვრა მაგარი! შიგ შუბლში! დაჰკა! დალეწე, მოსპე სამუდამოთ! აი რით უნდა გუპასუხოთ ჩვენ მტრებს. იგინი არ გვინდობენ და განა ჩვენ უნდა დავინდოთ? არავითარი შეთანხმება, არავითარი შერიგება. უნდა მედგრათ ვიბოძოლოთ, არავითარი საფრთხას წინაშე არ უნდა დავინახოთ, სანამ ჩვენ მოსისხლე მკვლელს მწაზებ განარტყებულს არ დავინახავთ! (ხელს მოუთათუნებს ზურგზე) აგრეა, ჩემო ტასიკო. აგრე. დამეკრე და მერე რა, ქვეყანა ხომ არ დაიქვევა. დამეკრე და ციხეში და ბოლოს იმ ციხეს ცდავანკრე.

ტასო—(წამოდგება) შენ ნამდვილი გაუჭებელი ბოლშევიკი ხარ, ჩემო ილო, დაჰკარი! დალეწე! მოჩა და გათავდა. ჩვენ ლაპარაკში გავბრთ და სულ დაშავწყდა, ვინ იცის იქნებ დღეს არაფერი გეჭმია. წავედრე მიგრიტანო რამე.

ალია—(წამოდგება და გაივლ. გ. მოივლ. ს. იცინის) ვარ და რა ცუდი სხელა! რა დროს კაპა ამ ექსტლიან დროს, არც კი მახსოვს შექამე რამე თუ არა ისე ვარ მთელი დღეები საქმეში გართული, რომ ყველაფერი დაგაეიწყებოდა ადამიანს. ტასო! გენკვა! ერთი ჩემი ხალათი შემოაჩიტანე.

ტასო—(პილის) ეხლავე! (გადის).

(ილია გაივლ. ა. მოივლ. ს. გაიხდის ფინჯაკს და ვილეტს. ტასო შემოუტანს ხალათს და ჩაიცვანს).

ალია—(ამოიღებს ფინჯაკის ჯიბიდან ყურნალს და გაშლის ტასოს წინ მავ დაზე) შეხე, ტასო, რა მშენიერი ყურნალი გამოვაცხეთ დღეს. მთელი დღე ჩვენ სჯამბაში ვართ. ხომ იცი რა ჯოჯოღოლში გვაქვს, აბა ნახე ჩემი წერილები მოეწონება თუ არა?

ტასო—(ფურცლავს ყურნალს და სათარგმნს კოთხილოვს) „საყოველთაო გეგმა და ტერორისტული აქტები“, „რა უნდა ექნათ“, „მტარვალთა აღსაარული“ და სხვა. (თავს დაა-

ნებებს ჟურნალის თვალერებას და ილიას მიმართავს, საკვირველია, როგორ ახერხებთ ამოდენა ჟურნალის გამოცემა და გავრცელებას.

**ილია**—(მხიარულად) იცოდე ნეტა, ტასიკო, რა დღე-გმირი ბიჭები გვყავს ჩვენი ასოთამწყობები მხოლოდ ღამით გამოდიან დედამიწის ზედაპირზე. აგერ რამდენი ხანია მათ ნზე არ დაუნახავთ. მთელი დღე კენკავენ ასოებს. ასეთი გმირი ბიჭები რომ არ გვყავდეს ვერას გავაკეთებდით. (ამ დროს შორიდან მოისმის ხშირი სროლის ხმა. ისვრიან მწყობრათ. ილია და ტასო სარკმელთან მიიზბენენ და ხმა გაუმენდილი ყურს უგდებენ).

**ილია**—(მობრუნდება და აღელვებული ხმით) აჰა! იწყება, იჰ ჩვენი ბიჭები უკვე მუშაობენ, ვინ იცის ვის დაუბნელეს მზე, ვინ დაახვავეს. ელა იგინი ესვრიან. ოჰ! შეიძლება ვინმე ჩვენგანი უკვე მიწაზე ფართხალობს სულთმობრძავე და სისხლში სცურავს. (ჩაფიქრდება მშარეთ).

**ტასო**—(მწუხარეთ) რა საშინელებაა! რა საშინელებაა! ვინ იცის რამდენი ახალგაზრდას გაეგმირება გული!

**ილია**—(მხიარულად) ეს არის რევოლუტია! ჩემო ტასო! მან არ იცის არავისი შებრალდება! ის მრისხანე და შეუბრალდებელია. ის მიდის წინ, უკან არ იხედება და ლეწავს ყველაფერს რაც წინ გადაეღობება. ადამიანები იხოცებიან და მათ გვამებზე შენდება ახალი ცხოვრება, იჭადება ახალი სი-ცოცხლე (სროლა ისევ განმეორდება. ისმის ზარბაზნების და თოფების ხმა).

**ილია**—(სარკმელს გააღებს) ოჰო! ეს ხუმრობა აღარ არის! რალაც დიდი ამბავი მოხდა! ეჰ! ეს ჯალათები! წუნკლები აღარაფრის წინ არ იხვენ. ზარბაზნებითაც დაგვიწყეს სროლა?! არაფერია, ეს არის პირველი ზარი მათი აღსასრულის, მომაკვდავის უკანასკნელი ხელის გაქნევა. (ყურს უგდებს).

**ტასო**—(აკანკალებული) დახურე სარკმელი! მეშინია! გული მეღევა!

**ილია**—(სარკმელს მიხურავს და ჩაფიქრებული წამოვა წინ). აღარ ხუმრობენ. (ჩაფიქრებული დადის, სროლა ისევ ისმის, გაჩერდება და ყურს უგდებს). ტასო მოძევი ტანისამოსი. წაიღებ, ერთი გაკიგო რა ამბავია.

ტასო—(ხელს დაუქერს) არას გზით! არ გაგიწვებ! ამ ღამე სად წახვალ? (არ უშეებს. ამ დროს კარებზე ძლიერ დააბრაახუნებენ. ორივენი შეერთებიან. გიჩურებული არიან და ხმას არ იღებ. ტასო მაგრათ დაუქერს ხელს და გაფითრებული კარებს მისჩერებიან). ვაიმე! მკონი დავიღუპეთ! მოვიდენ!

ილია—(აღერსით) რამ შეგაშინა, ტასო, არა გრცხვენია? მოვიდენ და მოვიდენ! მერე რა იქნება? წავიდე გაულო ერთი. (უფრო ძლიერათ აბრაახუნებენ კარებს და გარედან მოისმის ხმა: „გააღე, ილო, გააღე! ჩვენა ვართ მე და ყაფლანი“). უჰ! ჩვენი ბიჭები არიან. (მიირბენს საჩქაროთ კარებთან და გააღებს. ოთახში შემოვლენ სიჩქარით ისიდორე და ყაფლანი).

### გამოსვლა მესამე.

ილია, ტასო, ისიდორე და ყაფლანი

ისიდორე—  
ყაფლანი— { (ერთად, აღელვებით) დავიღუპეთ ილიკო! დავიღუპეთ!

ილია—(გაოცებული) რა ამბავია აბიჭო! რა ამბავი! მოდით აქ დასხედით (დასხდებიან. ტასოს ხმა ვერ ამოუღია და შიშისაგან კანკალებს).

ისიდორე—(აღელვებით) სტამბა ჩავარდა!

ილია—(თავზე ხელს შემოიკრავს და გაბრაახებით) ვაიმე!

ყაფლანი—(ხმის კანკალით) სახლი ზარბაზნებით დაანგრავს, ნიკო და სერგო თოფით მოჰკლეს.

ილია—(თავში ხელებს წაიშენს) ვაიმე! ვაიმე! ჩემო ბიჭებო!!

ტასო—(საშინელად ამოიკენესებს) ახ! ახ! ეს რა უბედურებაა! (საშინლად კენესის).

(რამდენიმე წუთს ყველანი გარინდებულა არიან. ვერც ერთს ხმა ვერ ამოუღია. ყველა ერთ მწუხარე ფიქრს შეუპყრია. შორს ისევ ისმის კანტი კუნტათ სროლა).

ყაფლანი—(მწარე ღიმილით. ყუზს უჯდებს სროლას) რომ აღარ ათავებენ ეს ოხრები?! იჭაურობა სულ გაანადგურეს და და კიდევ აღარ ჩერდებიან! ოჰ! ადგება და ხელებს იმტვრევს. დადის აღელვებული)

ილია—(კენესით) მიაშბეთ! მიაშბეთ ბიკებო, როგორ მოხდა ეს უბე-რება?!

იხიდორე—(მწუხარედ) იმ ქუჩაზე, სადაც ჩვენი სტამბაა, სალამო-ხანს წიდიოდა ყაზახთა რაზმი. ასე იქნებოდა სალამოს ექვსა, თუ შეიღი საათი. იქ დაუხვდა ჩვენი ორი ტერო-რისტი და ყუმბარები ჟფეთქეს, ყაზახებიდან რამდენიმე დაიხოცა, თვითონ გაიქვენ, მ.გრამ არსენალის ქაჩაზე ერთს დაიჭიენ და იქვე მოკლეს და შემდეგ ხმლებით აკუ-წეს. მეორე გაიქცა და დამალვა მოასწრო გამხეცებულმა ყაზახებმა მთელი უბანი აიკლეს. ალყა შემოარტყეს მთელს უბანს და ყველა გამვლელს გამომვლელს ხოცავდენ. ისწოდა განუწყსეტელი სროლა. ამ ჩხრეკის დროს მიაღგენ იმ სა-ხლს სადაც სტამბაა და ყველაფერი გაიგეს; ვარდენმა გაქცევა მოასწორო, საბრალო ნიკო და სერგო იქავე მოკ-ლეს. ჩვენ გამოვიქცით. ჩხრეკა და დაპატიმრება ჯერაც არ გათავებულა: (ყველანი გაჩუმდებიან. ყველას მწარე ფიქრები გაიტაცებს ოთახში ისმის მხოლოდ ამოკენესა)

ტასო—(მწუხარეთ) უაჲ დედა! ეს როგორ შეიძლება? წელან არ გეუბნებოდი ილო, რომ ეს კარგს არას მოგვიტნს მეთ-ქი, ხომ ხედავ რა მოხდა ორი ყაზახის მოკვლას გულის-თვის რამოდენა საქმე იმსხვერპლეს. ასეთი ტაქტიკა საქ-მეს დაღუპავს.

ყაფლანი—(გაივლ-გამოივლის) ეჰ! რა ვენათ, ჩემო ტასო, მოთმინე-ბის ფიალა აივსო. დროა ან ასე ან ისე გადაწყდეს საქმე.

ილია—(მტკიცეთ) მართალი ხარ, ყაფლან დროა საქმე გადაწყდეს დავიტანჯეთ! მოთმ ნება აღარ არის. სული გვეხუთება, ვიხრჩობით! (გაჩერდება და გაბრწყინებული თვალებით) და მე მტკიცეთ შრწამს და იჯერა, რომ ეს დრო წორს არ არის, პირველი ზარი უკვე ჩ.მოჰკრეს, მტერი ხმა-ამოღებული პირის პირ გვიდგას და საბრძოლველათ გვი-წვევს. ჩვენც ვღებულობთ ამ გამოწვევას და გავდივართ. ვნახოთ ვინ ვის დაამარცხებს (ამ დროს ისევ ღიისმიწ ხშირი სროლის ხმა. ყველანი სმენად გადაიქცევიან. ისი-დორე მიდის სარკმელთან და ყურს უგდებს) აჰა! ეგენ-აღარ ხუმრობენ! ბრძოლა უკვე დაიწყო!

**ისიდორე**—**ეხლა** სხვა ნხრადან ისმის სროლის ხმა, მგონია ქალაქის ბოლოდ. ნაა.

**უაფლანი**—(ლიმილით) ალბად იქაც წამოაგორეს ვინმე.

**ილია**—(ლიმილით) უკვე დ იწყო! ბიჭებმა ბრძოლა გააჩაღეს.

**ტასო**—(შეშინებული) ნეტა რა მოგველის? ნეტა რით გათავდება ეს საშინელება?

**ილია**—(ლიმილით) გათავდება იმით, რომ ან ჩვენ ვიქნებით და ან იგინი. ორივე ან შეგვიძლია ერთად დავითოთ ამ დედა მიწაზე. ან ერთი უნდა გავქრეთ და ან მეორე.

**უაფლანი**—(ჩაფიქრებული) ეხლა ეგენი აღარაფრის წინ აღარ დაიხე ენ რაკი ასე უჩინრდისოთ დაიწყეს ხოცვა-ჟლეტა თქვენ უნდა გენახათ როგორ ხოცავდნენ ბრალიანსა და უბრალოს. რაკი ზარბაზნებით გამოსვლა დაიწყეს ექვი არაა არაფრის წინ არ დაიხევენ.

**ისიდორე**—(ნაღვლიანათ) მე გადმომცეს თითქოს ნაბრძნები აქვთ ზემოდან დაქვრივები გზაშივე დახოცონ, რადგან ადგილები აღარ აქვთ ციხეებში.

**ილია**—(ლიმილით) მამა უცხონდათ! დაგვხოცონ თუ კი ხელში ჩაგუარდით.

**უაფლანი**—(წასასვლელათ ემზადება) აბა ჩვენ წავიდეთ, ისიდორე. ხომ იცი შორს ვფიქვართ და გვიან წასვლა სახიფათოა. ყაზახები რომ შეგვხვდნენ ჩვენი მაუზერებით ვერას გავხდებით.

**ისიდორე**—(ადგება) წავიდეთ! (ილიას) ხვალ დილით მომალთ და გადავსწყვიტოთ როგორ ვიმოქმედოთ. შევატყობინებთ სხვებსაც თუ ვინმე გადარჩა ამელამ. ხომ იცი მთელ ქალაქს მოედებიან ეგ წუნკლები. ჰო! მარლა, ილია, ფრთხილად იყივი, თვალყური ფხიზლაო გეჭიროს. მართალია შენი ბინა ჯერ არ იციან მაგ ოხრებმა, მაგრამ ეშმაქს არ სძინავს. იქნება უკვე გაიგეს. (ტასოს) ნახვამდის.

**უაფლანი**—ნახვამდის!

**ტასო**—დარჩით კოტა ხანს, რა გიშავთ, ჯერ აღრეა. ილიას ჯერ არც კი უსადილია, ერთად შეეჩეკითა.

**ისიდორე**—გმადლობთ, გნადლობთ (საათს დახედავს) უკვე თორმეტი საათია, გვიან არის.

ილია--ბიჭებო! თუ გინდათ სულ დარჩით ამალამ. საშიშია წასვლა.

მტრის ოჯახში ხომ არა ხართ?

ყაფლანი--როგორ შეიძლება! ამაღამ რომ სახლში არ მივიდეთ ხომ გადაირევიან.

ისიდორე--(სიცილით) დედა ჩემი ეხლა კარებზე ზის და თვალები გზისკენ აქვს გაშტერებული და მელოდება. (ყაფლანი და ისიდორე ხელს ართქევენ ტასოს და ილიას და გადიან. ილია მაგრათ დაკეტავს კარებს, გამობრუნდება და მოწყვეტით დაეშვება ტახზე და კენესის. ტასო გაშეშებული დგას და ხმა ვერ ამოჟღია. დიდი პ.უზა).

ილია--(მწარედ ამოიკენესებს) ჰო! ნუ ოუ ბოლო აღარ უნდა მოელოს ამდენ ტანჯვას (გაჩუმდება).

ტასო.--(მივა და გვერდით მოუჯდება) იცი რა გითხრა ილო? მე აღარ შემიძლია ამდენი უბედურების ატანა. მოდი წავიდეთ სადმე.

ილია--(ღიმილით) სად წავიდეთ, გენაცვა?

ტასო--ან სოფელში, ან სხვა ქალაქში.

ილია--(სიცილით) რა სულელი ხარ, ჩემო ტასიკო, შენა გგონია სოფელში ან სხვა ქალაქში წყურდობაა და ასეთი ამბები არ არის? რასაც აქ ხედავ ასეთივე ამბავია ყველგან.

ტასო--(ხეწნით) სოფელში... სოფელში წავიდეთ. იქ ხომ სიწყნარეა, იქ ხომ რევოლიუცია არ არის. გავყიდოთ ყველაფერი და წავიდეთ--კარგი?

ილია--(ღიმილით) შენ ხუმრობ, ჩემო ტასიკო. თავის დღეში შენ მე არ მიჩვევ ამას. განა იმ დროს, როდესაც აქ ჩემი ამხანაგები სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ სისხლიდან იცლებიან, მტრის პირის-პირ დგანან. დღეს თუ არა ხვალ უნდა გადაწყდეს ყოფნა არ ყოფნის საკითხი, მე ავდგე და გავიპარო და შორიდან დაწვილებულმა ვუყურო როდის მომიგორდება რევოლიუცია?! არასოდეს! ეგ შეუძლებელია. შენ მაგას მე არ მეტყვი! შენ ხუმრობ!

ტასო--(წყენით) განა ვის რა შეემატება იმითი, რომ ჩვენ აქ თავი შევსწიროთ? შენ ბევრი გააკეთე, დეე ეხლა სხვებმა გააკეთონ. გეყო რაც იტანჯე.

ილია--(იციინის და თავზე ხელს უხვამს) ბავშვი ხარ, ჩემო ტასიკო, თვითთულმა ჩვენგანმა, რომ ასე ვიმსჯელოთ ბოლოს და

ბოლოს ყველა იტყვის სხეებმა გააკეთონ საქმეო და ეს სხვა კი აღირავეთ დარჩება. (ეალერსება) გული ნუ გაგტეხია, გენაცვალე, ერთს ძლიერათ დაეკრავთ და მტერი დამარცხდება, მერე ნახე ჩვენი ზეიმი.

ტასო (წამოდგება) ბარემაც კარგია, მაგრამ როდის. მართლა, ილო, შენ მშიერი ხარ და მე კი სულ დამაფიწყდა წავალ გამოგიტან რასმე (მიდის სანზარეულოსკენ. ამ დროს მოისმის კარების ძლიერი რახუნის და ხშაურობა. ტასო ერთ ადგილზე გაქვავდება გაფითრებული. ილია ტახტიდან წამოიჭრება მაგიდიდან იღებს რალაც ქალაღებს და ფეიში ყრის. აქეთ იქით დარბის. გაშტერებულ ტასოს რევოლვერს აჩეჩებს ხელში დასამალათ—კარებს უფრო ძლიერათ აბრახურებენ და ყვარინ. ბოლოს ილია მივა და გაუღებს კარებს—ოთახში შექოვარდება ეანდარმის როტმისტრი. ეანდარმები, პოლიციელები და ჯარისკაცები—ოთახი სულ აივსება. ილიას რეოლვერებს უმიზნებენ და უბრძანებენ ხელები ძალა ასწიოს. ჩხრეკენ იქაურობას. გადააქოთებენ ყველაფერს. განჯინას მიუახლოვდებიან და ცდილობენ გააღონ).

ილია —(სიცილით) ფრთხილად, ფრთხილად! იქ ყუმბარებია, აყეთქდება! (ყველანი შეშინებულები უკან დაიხევენ. ილია ხარხარებს).

ეანდარმის როტმისტრი—(ბრაზიანათ ილიას) გააღეთ!

